2022, 4- 5 ოქტომბერი

XXI საუკუნის გამოწვევა - კულტურის კრიზისის გავლენა საზოგადოებაზე და პოლიტიკურ კულტურაზე

ქეთევან ახობაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
თბილისი, საქართველო
E-mail: akhobadze21@gmail.com
ORCIS:0000-0003-0534-9124

„როგორც ჩანს, შეფასების საშუალებით, ღირებულებები - პირველადია;
და შეფასების გარეშე კი ყოფიერების კაკალი ცარიელი იქნებოდა“
ფრიდრიხ ნიცშე

დღეს, რეალურად, XXI საუკუნის 20-იანი წლებია და თუ კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას თვალს გადავავლებთ, ამ ახალ განზომილებებში კვლავ ბოლომდე - გაურკვეველ თუ „ვერ გარკვეულ და განმეორებად“ საკითხებს ვუბრუნდებით. საკითხებს, რომელზედაც XIX-XX საუკუნის ყველა მიმართულების ანთროპოლოგები ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, თეორიებს ქმნიდნენ, ზოგჯერ ცდებოდნენ, თუ - არც ცდებოდნენ... ნაშრომი ეძღვნება პრობლემას - როგორ გავლენას ახდენს **კულტურის კრიზისი საზოგადოებაზე და პოლიტიკურ ურთიერთობებზე ლოკალურ და მსოფლიო დონეზე, პოლიტიკურ კულტურაზე.**

კულტურის კრიზისის კონცეფცია საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა, მაგრამ სოციო-კულტურული კრიზისის პრობლემის ფარგლები, მისმა შეგრძნებამ იმდენად გლობალურ მასშტაბს მიაღწია დღევანდელ დრო-სივრცულ გარემოში, რომ დაფიქრების და განჭვრეტის დრო მართლა დადგა. XXI საუკუნის პირველივე ათწლეულიდან დაწყებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისებმა მსოფლიო სამეცნიერო „გონები“ დააფიქრა და ამ პრობლემატიკისადმი ინტერესი გაზარდა. სავარაუდოდ, ამიტომ, არა მხოლოდ დასავლური კულტურის, არამედ მთელი მსოფლიოს კრიზისის თემა - ჩვენს დროში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება.

ეს აიხსნება იმით, რომ კულტურა და ადამიანი განუყოფლად არის დაკავშირებული, ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კულტურის კრიზისი უარყოფითად აისახება მთელი კაცობრიობის მდგომარეობაზე. ვფიქრობ, სწორი იქნება, თანამედროვე დროის კულტურის კრიზისი განვიხილოთ - **როგორც მიზეზი** და თან, როგორც **შედეგიც**, ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში. მიმაჩნია, რომ დღეს ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, პროცესების შესწავლას და დაძლევის გზების გამოძებნას მოითხოვს. ნაშრომის მიზანია, დღევანდელ ეტაპზე კულტურის კრიზისის მდგომარეობა შეაფასოს და შეძლებისდაგვარად, მისი თავისებურებები გააანალიზოს.

კულტურის კონცეფციას და მის არსს ეძღვნება ჩემი დისერტაცია და ორი წიგნი, ამიტომ თავს არ შეგაწყენთ ამ საკითხზე საუბრით, უბრალოდ **შეგახსენებთ** რაც ყველამ კარგად იცით, რომ კულტურა ადამიანის ცხოვრების განსაკუთრებული საშუალებაა, რომელიც წარმოდგენილია მატერიალური და სულიერი კულტურის პროდუქტებით, სოციალური ნორმების სისტემით, ინსტიტუტებით და ბუნებასთან, ერთმანეთთან, საკუთარ თავთან ურთიერთობის

ერთობლიობით. რომ კულტურა და ადამიანი ორი განუყოფელი ცნებაა. ადამიანი ქმნის კულტურას, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. ამიტომ, კულტურის არსის გაგება, გააზრება და ანალიზი, როგორც მიიჩნევა, მხოლოდ კაცობრიობის საქმიანობითაა შესაძლებელი.

ცნობილია, რომ კულტურის არსის განსაზღვრის მრავალი მიდგომა არსებობს, რომ **კულტურა არის**: *სოციალური ცხოვრების რეპროდუქციის გარკვეული დონე; როგორც ადამიანის ცხოვრების წესი, რომელიც განსაზღვრავს თავად საქმიანობის ბუნებას და მიმართულებას; როგორც ტრანსფორმაციის რეალური საჭიროება; როგორც ადამიანის საქმიანობის მარეგულირებელთა სისტემა, რომელიც ადამიანის გონების მიერ დაგროვილ გამოცდილებას ატარებს და ა.შ. თუ ჩავღრმავდებით, სწორედ ესაა მატერიალურის და სულიერის ერთიანობა და რომ, ასეთი მიდგომა გვაჩვენებს თუ როგორაა* ***ჩამჯდარი ის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.***

აღსანიშნავია, რომ კულტურა როგორც კაცობრიობის ისტორიის ეტაპი, უსასრულოდ კი არ ვითარდება, ის თავისთავად შეიცავს შემდგომი გარდაქმნების საწყისებს, როგორც პოზიტიურს, ასევე ნეგატიურს. ნებისმიერი კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ისეთი საწყისი მახასიათებლები ვლინდება, რომლებიც ძირს უთხრის მის სულიერ საფუძვლებს. რამდენადაც კულტურა ცოცხალი პროცესია, ამიტომ მისი შესწავლა განვითარების დინამიკაში უნდა მოხდეს, რადგან გარკვეულ ეტაპზე კულტურის სტაბილურობა - სულაც არ ნიშნავს მის მარადიულობას, ამიტომ ეს საკითხი მკვლევრებს შორის კამათს იწვევს და განსხვავებულია კულტურის ტრადიციული გაგებისაგან.

დღევანდელი გლობალურად მობილური სამყაროს საინფორმაციო საზღვრების უსასრულობის ხელშეწყობით, ამ პრობლემატიკის შესახებ უამრავ სამეცნიერო მასალას გავეცანი. მიუხედავად ამისა, მაინც უცნობია, ამჟამად, შექმნილი მსოფლიო კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება რამდენად აქტიურად მიმდინარეობს.

დავუბრუნდეთ სამეცნიერო კვლევის ისტორიას. ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაჩაღებული სოციო-კულტურული კრიზისი, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა ლოკალური, ვიწრო ეროვნული ფენომენი და მეცნიერებმა დაინახეს, რომ ამ ფენომენის დახასიათებისას შეუძლებელია მარტო ეროვნული საზღვრებით შემოფარგვლა. კრიზისი სხვადასხვა ქვეყანას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეეხო.

რატომ არის ასე შემაშფოთებელი კულტურის კრიზისი? მოდით ვცადოთ, გამოვყოთ ძირითადი მომენტები და მახასიათებლები, რაც კულტურის კრიზისს ახასიათებს.

კულტურის კრიზისი **აფიქსირებს სიტუაციას,** რომელიც ***მის ყველა სტრუქტურასა და საზოგადოებაში მომხდარი ცხოვრების მკვეთრად შეცვლილ პირობებს შორის წარმოიქმნება, როცა სულიერი და მორალური იდეალების რეალურ ცხოვრებასთან შეჯახება ხდება. როცა ასევე ხდება ღირებულებების გაუფასურება და შემოქმედებითი ენერგია შრება, როცა კულტურის პროდუქტი ვერ ახერხებს საზოგადოების სულიერი შიმშილის დაკმაყოფილებას.*** ამის ნათელი მაგალითები უხვადაა საქართველოს დღევანდელობაში და საერთოდ, მსოფლიოში, როგორც სახვით ხელოვნებაში, კინოში, ლიტერატურაში, კულტურის ნებისმიერ სფეროში...

კულტურის სფეროს მკვლევრების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან თუ რეზიუმეს გავაკეთებთ, თანამედროვე კულტურის კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია

ის, რომ **ვითარდება როგორც ცხოვრების კრიზისი** და თუ ჩვეულებრივ, კულტურის კრიზისი - როგორც ადამიანის საქმიანობის სულიერი სფეროს კრიზისად აღიქმებოდა, გავლენას მის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე ახდენდა, დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახლა ის არ შემოიფარგლება საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული და სულიერი სფეროთი. კრიზისის შედეგებმა სერიოზული გავლენა მსოფლიო კულტურულ განვითარებაზე იქონია. აქედან გამომდინარეობს (როგორც ამას მრავალი მკვლევარ-ექპერტი ამტკიცებს) მისი ერთ-ერთი თვისება - **დედამიწის** მთელ სივრცეში **გავრცელება**. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მიუხედავად გავრცელებული თვალსაზრისებისა (განსხვავებული), წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდები შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით, იმის მტკიცებულების წარმოდგენას, რომ განვითარებადი კულტურის კრიზისი რომელიმე კონკრეტული ქვეყნისა თუ კონტინენტისათვის კი არ არის დამახასიათებელი, ის შეეხო დედამიწის აბსოლუტურად ყველა კუთხეს, ვინაიდან ამჟამად, გლობალიზაციის წყალობით, ყველა საზოგადოება - განუყოფლად არის ურთიერთდაკავშირებული არა მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური, არამედ კულტურული ურთიერთობებით.

თანამედროვე მკვლევრების ნაწილი (განსაკუთრებით, რუსულ კულტუროლოგიაში), მიიჩნევს, რომ კულტურის კრიზისი კაცობრიობის სრულყოფილებისკენ სვლის შეჩერებაა, „მისი წარსულის ინტელექტუალურ, მორალურ და ზოგად სულიერ სიბნელეში, სივიწროვეში მოთავსებაა, მისი ცხოვრების შინაგანი და გარეგანი ჰორიზონტების გაფართოების შეწყვეტა, ინდივიდის დამონება, დაგროვილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრისა და ფასეულობების დაკარგვა და მისი ცხოვრების მორალური დონის დაქვეითებაა“ (https://kult/krizis-kultury-i-ego-osobennosti/29533.220471.s1.html).

უნდა ვაღიაროთ, რომ სოციო-კულტურული კრიზისი, ცხოვრების ყველა ასპექტს, სულიერების ყველა ფორმას, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს აუცილებლად იპყრობს. კრიზისი - განსაკუთრებით ნათლად გამოიხატება თანამედროვე ხელოვნებაში - არა **Modern art**-ში, როგორც მას ტრადიციულად ვუწოდებდით, სახელიც კი შეიცვალა და კონცეპტუალურად ახალი რამ შეიქმნა - **Contemporary Art**. ეს, ასევე, თანამედროვე მუსიკის, მხატვრობისა და პოეზიის მდგომარეობაა, რომლებმაც როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, უარი კი თქვეს კლასიკურ კანონებზე და ჰარმონიაზე, მაგრამ არ შეიძინეს ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი შინაარსი და ფორმა - მისი შინაგანი განცდების გადმოსაცემად, არამედ უმრავლეს შემთხვევაში, ადამიანთა „აბსტრაქტული მოთხოვნილებების მექანიკური დაკმაყოფილების ხელშემწყობ ფაქტორამდე“ დაიყვანეს... სამწუხაროდ, ხელოვნება ვეღარ და აღარ არის სულიერების გამოხატულება და არც სრულყოფილი ფორმების ძიებაა ხელოვანთათვის მთავარი. აბსოლუტურად ვეთანხმები მკვლევრების იმ ნაწილს, რომლებიც ხმამაღლა აღიარებენ მათ თვალსაზრისს, რომელშიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღმოჩნდა, რომ **ამ ფუტურისტულ ხელოვნებაში - ადამიანი აღარ არის... შემოქმედების კრიზისი და კულტურის კრიზისი ყველა სფეროშია, კრიზისი ხელოვნების ყველა დარგს შეეხო**... სამწუხაროდ, ადამიანებმა კულტურა როგორც ყოფითობის პირობითობა ისე აღიქვეს, ამით კი მისთვის ჩვეული სტაბილურობა დაიკარგა (ჩემთვის ამის ნათელი დადასტურებაა ამჟამინდელი, მაღალი მოდის განვითარებაში მიმდინარე პროცესები, მისი დეგრადირების გზა, ქ.ა.)...

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, ჩვენი დროის მსოფლიოში, რასაკვირველია, ევოლუციური კულტურული მიღწევებიც აღინიშნება, პარალელურად, კულტურის განვითარებაში მკვეთრად გამოხატული კრიზისის ნიშნები შეინიშნება, რომლებსაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. ეს მიზეზები შეიძლება ავხსნათ მრავალი ფაქტორით: მაგალითად, როგორც **ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების, ტექნოლოგიური განვითარებით** და **კულტურის სფეროში** (სოციალური ქსელები, რადიო-ტელევიზია, კინო, მულტიმედია, მობილური ტელეფონები და კომპიუტერები თავისი პროგრამული მიღწევებით...) **მათი ფართო გამოყენებით,** ისე თანამედროვე საზოგადოების **სოციალური პირობებით, პოლიტიკური კლიმატით,** რომლებიც დიდწილადაც **არა მხოლოდ კულტურის ფასეულობების შინაარსს და ფორმას, მათ განვითარებას და როლს საზოგადოებისათვის განსაზღვრავენ,** არამედ თანამედროვე დრო-სივრცეში - ***კულტურის განვითარების ახალ ფორმებს.*** ამიტომაა დღეს ასე მნიშვნელოვანი - შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულად განწყობილი მკვლევრები ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგები არიან. ვიცით, რომ ის აუცილებელი პროცესია და ვერსად გაექცევი...

თავის დროზე, თანამედროვე კულტურის კრიზისული მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი ისეთმა მოაზროვნეებმა გააანალიზეს, როგორებიც არიან ***პ. სოროკინი, ხ. ორტეგა ი გასეტი, გ. მარკუზე, ტ. ადორნო, ე. ფრომი, რ. გვარდინი, ნ. ბერდიაევი*** და მრავალი სხვა. მაგრამ, მიუხედავად საკმარისი დამუშავებისა, ეს თემა არ კარგავს აქტუალობას. გამოირჩევა კრიზისის ფენომენის თანამედროვე კვლევებიც, თუნდაც ამერიკელი სოვიოლოგის - **რონალდ ინლჰარტის...**

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ასევე, თანამედროვე კულტურული კრიზისის ერთ-ერთი გამოვლინებაა სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების შედეგების ტრაგიკული აღქმა. ამ მიმართულების სამეცნიერო ნაშრომებში, გამოთქმული მოსაზრებები რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ - „გაურკვევლობაში და დაკარგულობის შეგრძნებებით შეშინებული ადამიანი“ ამ სიტუაციაში საკუთარი თავის აღმოჩენისას, დაღწევას სხვადასხვა გზით ცდილობს. მაგრამ გაუფასურებული ღირებულებების და მორალურ-ეთიკური ნორმების გამო, ცხოვრების ყველა ჩვეული ნორმისა და საფუძვლის მსხვრევით უფრო მეტს ხვდება (თუ ვერც ხვდება) და ეუფლება სამყაროში მისი „არსებობის აბსურდულობის“ და უაზრობის შეგრძნება. ადამიანის სული, მისი ფსიქიკა ამ ყოველივეს ვერ უმკლავდება და ჩვენც ვიძირებით სიცარიელეში, ურწმუნოებასა და ხან კი მოჩვენებითი თავისუფლების ხიბლში, როცა ხან „ძველს“ ვებღაუჭებით და „ახალს“ ვერ ვქმნით, იზრდება აგრესია და ნიჰილისტური დამოკიდებულება მთელი სამყაროსადმი...

მომავლის სავალალო, შემაშფოთებელი და ტრაგიკული პერსპექტივაა, არა?!

ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ თანამედროვე საზოგადოების სასიცოცხლო ცხოვრებისეული აქტივობა ტექნიკური პროგრესის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ უკვე XXI საუკუნის 20-იან წლებში ნათლად გამოჩნდა რეალობა - ადამიანი აღმოჩნდა ტექნოლოგიებზე დამოკიდებულ, მიჯაჭვულ მდგომარეობაში. გვესმის, რომ კულტურის კრიზისი საზოგადოების კრიზისის განუყოფელი ნაწილია, როცა საზოგადოების ასეთი ინფორმატიზაციის პროცესში სოციო-ეკონომიკურ-ტექნიკური ცვლილებები ხდება და მოიცავს ყველა სფეროს, კულტურასთან ერთად.

ამჟამად, თანამედროვე კულტურის მრავალი მკვლევრის ნაშრომში სულ უფრო და უფრო ჟღერს განცხადებები, რომ ცივილიზაცია შესამჩნევი სისწრაფით უახლოვდება ნიშნულს, რასაც

მისი კრიზისი მოჰყვება. მიზეზად, დასახელებულ ფაქტორებს შორის, ყველაზე ხშირად მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიების თემა ისმის, რომელიც დასავლური განვითარების ლოგიკაზე დაყრდნობით, მთელ ცივილიზაციას ტექნოლოგიურად განსაზღვრავს. თუმცა, კრიზისის მატერიალური კომპონენტების გარდა, აშკარად არანაკლებ როლს თამაშობს მისი იდეოლოგიური წინაპირობები.

ჯერ კიდევ ა. შვაიცერმა, ჩემთვის ღრმად პატივცემულმა მკვლევარმა, თავის ნაშრომში „კულტურა და ეთიკა“ - **კულტურის კრიზისიდან გამოსვლის და კულტურის განვითარების ძიებისას** - ჩამოაყალიბა მისი აზრით, მთავარი კანონი: „როდესაც საზოგადოება იმაზე უფრო მეტად ზემოქმედებს ინდივიდებზე, ვიდრე ინდივიდი საზოგადოებაზე, კულტურის დეგრადაცია იწყება, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანის სულიერი და მორალური მონაცემები კნინდება. საზოგადოების დემორალიზაცია ხდება და ის ხდება უუნარო, გაერკვეს და გადაწყვიტოს მის წინაშე აღმოცენებული პრობლემები. შედეგად, ადრე თუ გვიან, კატასტროფა დგება...“ სწორედ ამიტომ, ა. შვაიცერი კულტურის აღორძინებას ერთადერთ მოღვაწეობას - სულიერ სფეროში ცალკეული ინდივიდების შემოქმედებით მოღვაწეობას მიიჩნევს, როცა ყოველი ინდივიდი აქტიური მონაწილეა „სულიერ-მორალური იდეალების“ აღორძინებაში“ (Швейцер,1973:304*; https://platona.net/load/knigi/ehstetika/shvejcer_a_kultura_i_ehtika).*

კულტურის კრიზისის **დროს მკვეთრი და მნიშვნელოვანი ცვლილებები, გარდატეხა** ხდება მის განვითარებაში. ისიც, **რთულ, გარდამავალ მდგომარეობაშიც** აღმოჩნდება და კულტურის სფეროში ამგვარი ძვრები, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, რეაქციაა არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნიკური გარემოს განვითარებაზე. ამის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნა ცნობილმა რუს-ამერიკელმა სოციოლოგმა **პიტირიმ სოროკინმა.** იგივეს წერს **რ. ინგლეჰარდიც**, რომ „თითოეული კულტურა, თავისი ხალხის ადაპტაციის სტრატეგიას - წარმოადგენს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ასეთი სტრატეგიები, როგორც წესი, არის რეაქცია ეკონომიკურ, ტექნიკურ და პოლიტიკურ გარდატეხებზე და, როგორც ასეთი, არ შეიძლება დიდხანს დარჩეს უცვლელი“ ...შესაბამისად, სწორედ ამიტომ, კულტურის კრიზისის სწორად გაგება შეუძლებელია იმ კრიზისის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც საზოგადოება თავისი განვითარების ამა თუ იმ დრო-სივრცულ მომენტში განიცდის (*Новая постиндустриальная волна на Западе. М.: Academia. - 1999. С - 249-250*).

თუ შევაჯამებთ მრავალი მეცნიერ-მკვლევრის დასკვნებს, გამოვყოფთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, ნათლად დავინახავთ, რომ ყველა ეს გამოვლინება არის - ***თანამედროვე საზოგადოების კულტურის სისტემური კრიზისი***:

- მსოფლიო კულტურის ღირებულებითი საფუძვლების ნგრევა, როცა ურთიერთობების ლიბერალიზაცია მიმდინარეობს, რაც სოციალური ქცევის მორალური ნორმების და აკრძალვების შემცირებას, დეგრადაციას ან სულაც, დაკარგვას იწვევს. ამ პუნქტში თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება (ქ.ა.);
- ქვეყანაში ოჯახური ღირებულებების დეგრადაცია, ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, ბავშვების, ხანდაზმული მშობლების ბედზე პასუხისმგებლობის შემცირება, დარღვეული ოჯახური კავშირები - ეს პროცესები საქართველოშიც ძლიერი რყევებით მიმდინარეობს (ქ.ა.);

- ❖ ადამიანის დესტრუქციული აქტივობის შედეგად, ბიოსფეროს დაზიანება და გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის მზარდი საფრთხე;
- ❖ ადამიანის სიცოცხლის ღირებულების უპრეცედენტო გაუფასურება - პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა, ძალადობა, აგრესია... ეს ხდება ყველა სოციალურ თუ კორპორატიულ სტრუქტურაში. გაიხსენეთ თუნდაც, უახლეს ისტორიაში, 2019 წელს მომხდარი აფრო-ამერიკელი ახალგაზრდის მკვლელობის შემდეგ განვითარებული მოვლენები აშშ-ში და გიორგი შაქარაშვილის მკვლელობა; ახალგაზრდების ფიზიკური შეურაცხყოფა მაისურის და ბოტასების ფერის გამო; სასტიკად გალახული სმენადაქვეითებული ახალგაზრდა საქართველოში და მრავალი სხვ...
- ❖ საზოგადოების ზოგადი განათლების და აღზრდის დონის დაქვეითება-დაცემა, რომელმაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდის ინტელექტის შემცირება გამოიწვია და არა მარტო! ლინგვისტური ველის, საზოგადოებრივი ენობრივი კულტურის გადაგვარება, დაბინძურება მოხდა, რომლის იდეალური მაგალითი - საინფორმაციო ეთერში ჩვენი ქართველი ჟურნალისტების მეტყველებაა;
- ❖ და ბოლოს, ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი პროფესიით ხელოვნებათმცოდნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული - კლასიკური კულტურისა და ხელოვნების დონის, როლის დაქვეითება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაბალი ხარისხის მასობრივი კულტურის დომინირება, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის მარგინალიზებულ სეგმენტებზე.

არც თუ ისე დიდი ხანია რაც კულტურა წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარ იარაღად იქცა და დიდ ადგილს იკავებს აშშ-ს და ევროპის წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში. კულტურულ ექსპანსიას ზოგიერთი წამყვანი ქვეყნის ხელისუფლება სიფრთხილით ეკიდება, ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთი, გერმანია და ა.შ. როცა ცდილობენ შეზღუდონ სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებით მათთვის მიუღებელი ამერიკული კულტურის მაგალითების ჩვენება ტელევიზიით...

საქართველოში ასეთი აკრძალვები მედიაში არ არსებობს. ქართული მედია, ინფორმაციის მიღების თავისუფლების კონცეფციით სპეკულირებს, გაუგებარი, არაფრის მომცემი მუდმივი საუბარი ადამიანის უფლებებზე, ხელს უწყობს ამერიკული კულტურის პროპაგანდას. საუბარია არა პოპულარიზაციაზე, არამედ პროპაგანდაზე! აქ საკითხი ეხება არა ამერიკული კულტურის, მისი ფასეულობების არმიღებას, არამედ მის წიაღში არსებული **იაფფასიანი, ანტიჰუმანური და პრიმიტიული ღირებულებების არმიღებას**, რომელიც კონფლიქტში მოდის ტრადიციულ ეროვნულ კულტურასთან, ეს მომენტიც, თავისთავად, ამძაფრებს კულტურის კრიზისს ინფორმატიზაციის ეპოქაში. კულტურის კრიზისი გამოწვეულია არა მხოლოდ გლობალური მნიშვნელობის ფაქტორებით, არამედ იმ სპეციფიკური პოლიტიკური თავისებურებებით და სირთულეებით, რაც საქართველომ გაიარა და გადის დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე.

ბუნებრივია, რომ XXI საუკუნეში კულტურის სისტემურ კრიზისს თითოეულ ქვეყანაში თავისი სპეციფიკა აქვს. საქართველოში კულტურის კრიზისის ზოგიერთი მახასიათებელი ასე გამოიყურება:

სახელმწიფოებრივ დონეზე დღემდე ვერ გაცნობიერდა და ბუნდოვანია „კულტურის“ როგორც ცნების არსი, ისე მისი მნიშვნელობა და როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ვერც კულტურის - როგორც სოციალური ინსტიტუტის ფუნქციის მნიშვნელობა. საზოგადოებრივი ცნობიერების სათანადო ორიენტირებისთვისაც არაფერი კეთდება...

ამას ადასტურებს არაერთი კანონის, კონცეფციის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის ტექსტებში - „კულტურის“ სფეროსადმი დამოკიდებულება როგორც - მეორეხარისხოვნისადმი. ამ დოკუმენტების აბსოლუტურ უმრავლესობაში კულტურა განიხილება ან როგორც მომსახურების სექტორის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს მოსახლეობის კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას ან უბრალოდ, მხოლოდ ჩამონათვალის ერთ-ერთი კომპონენტია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება ძირითადად პრივატულ სურვილზე და თანხებზეა დამოკიდებული, რადგან სახელმწიფოსათვის მეორეხარისხოვანია, საერთოდ არ მუშაობს 2016 წელს „ძლივს“ მიღებული კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც პრაქტიკულად „ქმედითუუნარო“ აღმოჩნდა.

მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ კულტურის შესახებ თანამედროვე იდეების წარმოშობა მეტწილად ასოცირდება ი.კანტის იდეებთან, რომელმაც კულტურა განსაზღვრა, როგორც - რაც ემსახურება ადამიანების კეთილდღეობას ან რაც თავისი არსით ჰუმანისტურია, ***რადგან ჭეშმარიტი კულტურა ვერ იარსებებს სულიერების მიღმა და ვერც პიროვნების სულიერი გამდიდრების გარეშე...*** ძალიან საინტერესოა მისი განსჯა სწავლა-აღზრდის სოციალური როლის შესახებ და თავისუფლების და კულტურის, კულტურის და ხელოვნების, კულტურის და პიროვნების თვითრეალიზაციის მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე, რომელიც მთავარი კრიტერიუმია კულტურის განვითარებისათვის. დღეს კულტურის შესახებ დისკუსიები ყველაზე ხშირად ასოცირდება „კულტურის კრიზისთან“, როცა ამ კრიზისის განმარტებები მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია, რადგან ხან „რწმენის სიმცირესთან“ (ნ. **ბერდიაევი**, რომელიც რწმენაში გულისხმობს არა მარტო რელიგიურს, არამედ ჰუმანისტურსაც), ხან კი „ტრადიციული და სამეცნიერო კულტურის განხეთქილებასთან“ **(ჩ. სნოუ)** არის ასოცირებული და დაკავშირებული. როცა ადამიანები „მსოფლიოს მექანიზაციით“ მხოლოდ ტექნოკრატიული იდეების გამყარებას ცდილობენ და სულიერებას კარგავენ **(ო. შპენგლერი**); ბიუროკრატიის განვითარების გამო, ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების დეჰუმანიზაცია და ჩნდება ადამიანის ახალი ტიპი - „დაშლილი ადამიანი“. ტექნოლოგიის დომინირება და ადამიანის პიროვნების დაშლა... (ა. ვებერი მისგან გამოსავალს გერმანული სულიერების აღორძინებაში ხედავს, რაც კულტურის შექმნის დამახასიათებელი გზაა. კულტურას ქმნიან გენიოსები, როგორც რეალურ სამყაროში ირაციონალური სამყაროს შუამავლები...ქ.ა.) - **ალფ. ვებერი** და სხვ.

გვესმის, რომ სოციალური კრიზისი კულტურულთან შერწყმულია. **სამწუხაროა, რომ საქართველოში უმრავლეს შემთხვევაში,** ვერც ერთ დონეზე, ვგულისხმობ სახელმწიფოსაც, პიროვნებასაც და საზოგადოებასაც, საფრთხე ვერავინ ვერ დაინახა და გაიგო, რათა ათასწლოვანი კულტურის მემკვიდრეობის საფუძვლები დაეცვა, გაეძლიერებინა და განევითარებინა. ხოლო **გაუაზრებლად აკვიატებული** „დასავლეთის ლიბერალური

ფასეულობებისაკენ“ ლტოლვა, ისედაც არასტაბილურად განვითარებად ქვეყანას - ანგრევს... „კულტურის ნგრევის“ შესაჩერებლად კი ჯერ არც ერთი მექანიზმი არ ამუშავებულა. უმეცრებამ დაისადგურა და საშიშ ნაღმად იქცა.

როდესაც გერმანელი ისტორიკოსი და სოციოლოგი, გერმანული კულტურის ფილოსოფიის წარმომადგენელი და ორიგინალური კულტუროლოგიის თეორიის შემქმნელი **ალფრედ ვებერი** (1868-1958) წერს - შუა საუკუნეების ერთიანობისაგან ევროპული სულის განვითარების რამდენიმე ეტაპზე, აღნიშნავს, რომ - ამ პერიოდში ადამიანის ინდივიდუალობა თავისუფლდება, მაგრამ ამავე დროს, დაპირისპირებისა და ბრძოლისაკენ იხსნება გზა. ეკონომიკაში ეს გადაგვარება მსოფლიოს უხეშ ძარცვაში გამოვლინდება, ხოლო პოლიტიკაში და რელიგიაში კი სისხლიან ხოცვაში...

ალფ. ვებერის თვალსაზრისით, თითოეული ერის კულტურა გარკვეულ სულიერ მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც იმავ დროს მის იმ თვისებებში ვლინდება, რომლებიც მის ბუნებრივ არსში, სახელმწიფოსა და ისტორიაშია ფესვგამჯდარი. ასეთ შემთხვევაში კი კულტურა გადაიქცევა - მისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი ნიშნების მუდმივ თვითგანახლებად, გამდიდრებისა და გაღრმავების გზით. ხოლო ადამიანის მეცნიერებისა და ცოდნისადმი მორჩილება, კულტურის სულიერ საფუძვლებს ძირს უთხრის და მის შეუქცევად ირაციონალურ ნაშთებს (ის რაც ადრე არსებულიდან დარჩა, ქ.ა.) ანადგურებს.

ალფ. ვებერი, ისევე როგორც ო. შპენგლერი, კულტურასა და ცივილიზაციას ერთმანეთს უპირისპირებს, მაგრამ ევროპული კულტურის სრულყოფას არც ისე პესიმისტურად უყურებს. ის განჭვრეტს **სულიერ აღორძინებას** არა მხოლოდ როგორც **ტექნოლოგიის შეზღუდვის საშუალებას** - ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ როგორც გზას, **საშუალებას** - **კაცობრიობის ისტორიული რეგრესისა და დეგრადაციის დასაძლევად** (თანაც, გონების და განათლების როლს არ უარყოფს, ქ.ა.).

ვაიდა ასაკავიჩუტეს სტატიაში „კულტურის კრიზისი როგორც ადამიანის ეგზისტენციალური შემოქმედების დაკნინება“ - განხილულია კულტურის კრიზისი, როგორც ადამიანის ეგზისტენციალური შემოქმედების დაქვეითება, როდესაც ადამიანი კარგავს ორიენტირების უნარს სამყაროში, სადაც ყველაფერი უაზრო და აბსურდულია... კრეატიულობის კონცეფციის პრობლემური ხასიათის მიმოხილვა აჩვენებს, რომ ეს კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული.

ვინაიდან ხელოვნების ისტორიის და თეორიის მიმართულებითაც ვმუშაობ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია **შემოქმედების** - როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, გავლენის, ზემოქმედების და როლის გამოვლენა - პიროვნების, საზოგადოების და კულტურის განვითარების პროცესში. ცნონილია, რომ არაკლასიკური ფილოსოფოსიის წარმომადგენლები იყვნენ პირველები, რომლებმაც თეორიული დასაბუთება დაიწყეს, ინდივიდისთვის, მისი ცხოვრების ხარისხისათვის, საზოგადოების კეთილდღეობის და კულტურის განვითარებისათვის - **შემოქმედების მნიშვნელობაზე.** მათი ანალიზიდან და დასკვნებიდან ჩანს, რომ ადამიანს შემოქმედების თანდაყოლილი უნარი გააჩნია, რომელიც ასევე, ვლინდება პიროვნების თვითგანვითარების, საკუთარი ცხოვრებისა და გარემოს შექმნაში. ამ საკითხებზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კულტურის კრიზისის პრობლემატიკას, სამეცნიერო

კვლევები, სტატიები უხვადაა, მაგრამ სხვადასხვა დრო-სივრცულ განზომილებაში, თემის გააქტიურება ხდება და შესაბამისი ანალიზ-დასკვნები ემატება. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში, ის მრავალი მეცნიერის კვლევის ამოსავალი წერტილი გახდა.

შემოქმედებითობის დაცემის მიზეზები და შედეგები თავის დროზე, ო.**შპენგლერმა** კულტურის კრიზისის საკუთარი კონცეფციის ფარგლებში გაანალიზა და დაასკვნა, რომ „შემოქმედებითი საქმიანობა და კრეატიულობა შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების ყველაზე ღრმა მიზნად და არსებობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად. რომ: ამ ეგზისტენციალური შემოქმედებიდან გამომდინარეობს - ცხოვრების ავთენტურობა, სულიერი ფასეულობების შექმნა და კულტურული ფორმების გაუმჯობესება და განვითარება“ (Asakaviĉiété Vaida, 2018: 65-83).

ვფიქრობ, XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, მრავალი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორებიდან, ცვლილებებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მწვავე ფორმით გამოჩნდა ადამიანის შემოქმედების და შემოქმედებითი შესაძლებლობების სტაგნაცია, რომელიც კულტურის ყველა მიმართულებაში დაფიქსირდა, განსაკუთრებით კი - სახვით ხელოვნებაში და, შესამჩნევი გახდა - „კულტურული ფორმების და ღირებულებების დაცემის“ სახით. მოგეხსენებათ, რომ დასავლურ ფილოსოფიაში უკვე XIX საუკუნიდან კულტურის კრიზისი - პიროვნების სულიერ პასიურობად და მისი შემოქმედების კრიზისად განიხილებოდა. ამ კონცეფციის ანალიზი კი არაკლასიკოს ფილოსოფოსებად მიჩნეულმა მეცნიერებმა დაიწყეს: ა. შოპენჰაუერმა, ს. კირკეგორმა, ფ. ნიცშემ და გააგრძელეს - **ა. ბერგსონმა, ო. შპენგლერმა, ხ. ორტეგამ** და ა.შ. თუ შევაჯერებთ, თითქმის ყველასთვის, დასკვნა არის ის, რომ ცივილიზაციის წინსვლა, ტექნური პროგრესი, „შემოქმედების დაცემას და კულტურის დასასრულს აღნიშნავს“.

დრო დინამიკაშია და იცვლება, მასთან ერთად კი ადამიანების ცხოვრებაც... შემოქმედებისა და შემოქმედებითობის კონცეფცია, როგორც უკვე აღვნიშნე, რთულია და ამოუწურავი, რადგან მოითხოვს საკითხის შესწავლას სოციალური, ესთეტიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, კულტურული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა მიმართულებების ჭრილიდან და თანაც მუდმივ-განახლებადია. ისევ ჩემი უსაყვარლესი მეცნიერის **ა. შვეიცერის** სიტყვებით გამოვხატავ სათქმელს: რომ უზარმაზარი ტექნოლოგიური მიღწევები, ინდივიდის შემოქმედებითი საქმიანობის სფეროს საკმაოდ მკვეთრად ზღუდავს და რომ, ის მხოლოდ ერთი სფეროთი ან სპეციალობით შემოიფარგლება. ინდივიდს არ სჭირდება ზედმეტი ფიქრი, ფანტაზიის დაძაბვა ან ინტელექტის გამომუშავება, რადგან ამ უამრავ ფუნქციას - ტექნოლოგია ასრულებს, რის შედეგადაც ადამიანის შემოქმედებითი უნარები და შემოქმედებითი შესაძლებლობები - უბრალოდ, სუსტდება... გამოდის, რომ ცივილიზაცია როგორც „სუფთა ინტელექტის გამოხატულება - ადამიანის თანდაყოლილ შემოქმედებით სულს - ახშობს“... ლიტველი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და ისტორიკოსი **ლეონიდ დონსკისი** (1962-2016) ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, კულტურის ისტორიის საკითხებზე მუშაობის დროს, კულტურის კრიზისსა და შემოქმედების ასპექტებს შეეხო. მისი თვალსაზრისით: კულტურა შემოქმედებითი და სპონტანურია. ის ქმნის მაშინ, როცა ცივილიზაციას არ შეუძლია შექმნას

არაფერი, რაც მუდმივი ღირებულების მქონეა - ის მხოლოდ აანალიზებს და ინტერპრეტაციას უკეთებსო (დონსკისი, 1993:165; 2009).

ახლა თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კულტურის კრიზისის პოლიტიკურ კულტურაზე გავლენის პრობლემატიკაზე. სამწუხაროდ, სტატიის ფორმატი ამ საკითხების ამომწურავად გაშლის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ შევეცდები ძირითად მახასიათებლებზე შევჩერდე.

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ პოლიტიკური კულტურა რთული მრავალსტრუქტურული ფენომენია, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების გავლენის ქვეშაა და ამის საუკეთესო მაგალითია ის ვირტუალური სამყარო, რომელშიდაც XXI საუკუნის ადამიანები მოექცნენ, რადგან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გლობალიზაცია მოხდა. ინტერნეტის ხელში აღმოჩნდა ადამიანების ცნობიერება მთლიანად, რომელიც მის ფორმირება-განვითარებაზე გავლენას ახდენს. ინტერნეტის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა ბევრი ტრადიციული და ფუნქციური „საგანის, ობიექტის“ არსებობა დააყენა კითხვის ქვეშ - განათლების ტრადიციული გაგება თავისი სკოლებით და პედაგოგებით, ქრება კულტურა და მასთან ერთად, პოლიტიკური კულტურაც. XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა რადიკალური ცვლილებები მოახდინა არა მხოლოდ ეკონომიკის, სოციალურ, პოლიტიკურ სფეროში, არამედ კულტურაშიც, როცა ბევრ სხვა პროცესთან ერთად ღირებულებების გადაფასება და ადამიანების მსოფლმხედველობის და ქცევითი ორიენტაციების, ანუ პოლიტიკური კულტურის ყველა კომპონენტის შეცვლა გამოიწვია.

როგორც ბრიტანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი **ზ. ბაუმანი** მიიჩნევს, რომ ვინაიდან, თანამედროვე სამყარო ცვალებადია და ცხოვრება არაპროგნოზირებადი, როცა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული განვითარების ვექტორი, მიზნები - ბუნდოვანი და ყოველ წუთს იცვლება. შეუძლებელია გახდეს ადამიანის რაციონალური ქცევის საფუძველი - ანუ მისი პოლიტიკური კულტურა და ასევე, შეუძლებელია ადამიანის ცხოვრების ღრმად გაგება და ამიტომ, რთულდება მისი მართვაც.

ცოტა თუ ჩავღრმავდებით, სხვადასხვა კვლევის შედეგებსაც შევაჯერებთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: რომ **XXI საუკუნის პოლიტიკური კულტურა - ეს ის ეტაპია, როდესაც კულტურა უკვე ჩნდება არა მხოლოდ როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი,** (თავისი ინსტიტუციებით, ქ.ა), **არამედ ის ეტაპია, როდესაც მოქალაქეები ინტელექტუალურ კაპიტალს ქმნიან, სადაც კულტურა, სხვა სოციალურ ღირებულებებთან ერთად, უზრუნველყოფს საზოგადოებაში საზოგადოებრივ წესრიგს და ურთიერთგაგებას და მოქმედებს როგორც ღირებულება, სადაც ყველაფრის ცენტრი ადამიანია.**

ცნობილია, რომ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური კულტურა ჩვეულებრივ ყალიბდება: სხვადასხვა ღირებულების ორიენტაციის და მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის, ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების, პიროვნების სოციალური აღიარების, ელიტის და ელექტორატის ურთიერთობის შერწყმის პროცესში, ასევე, სხვა

სიტუაციებში, რომელშიც ვლინდება საზოგადოების და სახელმწიფოს ცივილური განვითარების ნიშან-თვისებები (https://osobennosti_sovremennoy_politicheskoy_kultury).

ვფიქრობ, **საქართველოს პოლიტიკური კულტურის ძირითადი ფასეულობები ჩამოყალიბდა** როგორც მისი გეოპოლიტიკური მახასიათებლებიდან, ისე ზოგადცივილიზაციური ფაქტორების ზეგავლენით, რომლებიც ასახავდნენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ორგანიზების ყველაზე გამოვლენილ ფორმებს, მათ ძირითად ღირებულებებსა და ორიენტაციას და მოიცავს სოციო-კულტურულ შუალედს - აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სწორედაც, სხვადასხვა ფაქტორის ხანგრძლივმა და წინააღმდეგობრივმა გავლენამ განაპირობა ქართული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც - შინაგანად გაყოფილი, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად პოლარიზებული კულტურაა, სადაც მისი წამყვანი სეგმენტები, თავიანთ ძირითად საფუძვლებში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. სადაც სეგმენტები გაჟღენთილია სხვადასხვა იდეოლოგიური პოზიციითა და მიდგომით; პერსონალიზებული პორტრეტები, თავისი „მხსნელის“ მუდმივი ძიებით, რომელსაც შეუძლია ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან; დასავლური სტილის პოლიტიკური კულტურის მიბაძვის სურვილით, როცა ამ ფასეულობების უმეტესობა, ჯერ კიდევ არ არის მყარად ფესვგადგმული მათ გონებაში და აქვს, გარკვეულწილად, უფრო - წიგნიერი, სპეკულაციური ხასიათი.

როგორც პოლიტოლოგთა წრეში მიიჩნევა, პოლიტიკური კულტურა კოლექტიური შემოქმედების პროდუქტია. ამ შემოქმედებაში მონაწილეობს სხვადასხვა სუბიექტი, როგორიცაა: **სახელმწიფო, ეკლესია, პოლიტიკური პარტიები და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობები, მედია** და უმთავრესი - ჩვეულებრივი **მოქალაქეები** ყოველდღიურ ურთიერთობებით. ყველა მათგანი მიზნობრივ გავლენას ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე, გარკვეულ პრობლემებს აგვარებს. გარდა ადამიანებისა, რომელთა შორის კომუნიკაცია და ურთიერთქმედება, ჩვეულებრივად, სპონტანურ ხასიათს ატარებს.

პოლიტიკური კულტურა ადამიანის კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოიცავს ზოგადად მიღებულ ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს; ისინი არეგულირებენ მოქალაქეების ჩართულობის ყველა ასპექტს მათ სახელმწიფოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. თუ ვთანხმდებით, რომ პოლიტიკური კულტურის მატარებელი ინდივიდია და ამას სოციალიზაციის პროცესში სწავლობს, თან არის ამ პოლიტიკური კულტურის მატარებელი, მაშინ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მას არ შეუძლია არჩევანის გაკეთება, პოლიტიკური კულტურა მასში არსებობს - თავს მოხვეული, მისი ნების მიღმა, როგორც ამ კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული ზოგადი კულტურის ნაწილი.

იმ ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მაღალი დონით, ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხალხთან ურთიერთგაგება. პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში კი ხელისუფლებამ, შესაძლოა, უგულებელყოს მოსახლეობის ინტერესები. პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური სფეროს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. რაც უფრო მაღალგანვითარებულია, მით უფრო აყვავებულია საზოგადოება, მთელი სახელმწიფო. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე არის როგორც მოქალაქეების, ისე საზოგადოებრივი და პოლიტიკური

მოღვაწეების სამართლებრივი კომპეტენციის მაჩვენებელი. რაც უფრო აყვავებულია საზოგადოება, მით უფრო მეტად არის ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც უფრო მეტად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მით უფრო სწრაფად იზრდება ცხოვრების დონე და - პირიქით (https://politologiya/politicheskaya_kultura_vlast_sovremennom_mire).

მოგეხსენებათ, კრიზისი ხომ ძველ ბერძნულად - გადაწყვეტილებას, გარდამტეხ წერტილს ნიშნავს, ხოლო ეტიმოლოგია აკავშირებს კრიზისს (κρίσις) ზმნა κρίων, რაც ნიშნავს „განსაზღვრას, არჩევას". სწორედ ამიტომაა, კრიზისის გარკვეული გამოვლინების დაფიქსირებისას, მისი დადებითი ასპექტების დანახვა - მნიშვნელოვანი! თუნდაც იმიტომ, რომ თავად ისტორიული განვითარების პროცესია არაერთგვაროვანი და რთული. მახსენდება ჩემი თაობის უსაყვარლესი პედაგოგის, ენათმეცნიერის, აკადემიკოს **მზექალა შანიძის** სიტყვები: „განათლებული ყველა ადამიანი პროგრესის ერთგული უნდა იყოს... პროგრესი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში უნდა იყოს. ჩვენ უნდა დავძლიოთ წარსულის ზედმეტი იდეალიზაცია, წინ გახედვის უუნარობა, უნდა შევიძინოთ შრომის კულტურა. ეს ყველაფერი პროგრესია, აბა რა არის".

მასალაზე მუშაობის დროს, ინტერნეტ-სივრცეში ნანახ მასალებში წავიკითხე, რომ ჩინურში „კრიზისის" ცნება ორი იეროგლიფით აღინიშნება თურმე. ერთი მათგანი „საშიშროებას", ხოლო მეორე - „შესაძლებლობას" ნიშნავს. კრიზისის ორმაგი ბუნების ასეთი გაგება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რადგან ავლენს ამ ფენომენის ღრმა ფილოსოფიურ არსს, მის როლს ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის განვითარებაში, რაც მდგომარეობს იმაში, რომ კრიზისი მხოლოდ არსებული სისტემის განადგურების საშიშროება კი არაა, არამედ ახალი სისტემის დაბადების შესაძლებლობაცაა, რომელიც, შესაძლოა, უფრო სრულყოფილი იყოს და უკეთ მოერგოს ცვალებად პირობებს.

კულტურის და სულიერების კრიზისი კაცობრიობას, გარკვეულ ეტაპებზე, განსაკუთრებით უმძაფრდება. ეს კრიზისი დგას დღესაც მსოფლიოში, რომლის ახალი ტალღა ჯერ კიდევ 2008 წლიდან დაიწყო...ფიქრის დროც თითქოს აღარ დარჩა, რადგან სამომავლო გზავნილები არა მარტო დასაფიქრებელი, არამედ შესაშფოთებელიცაა!

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კითხვაზე - **„ვის ეკუთვნის მომავალი?"**, პასუხი უკვე გზავნილის სახით გაჩნდა გლობალურ სამყაროში: თუ კულტურა არ იქნება, არც მომავალი გვექნება! - „**No Culture, No Future**"!

ინტერნეტ-რესურსები და გამოყენებული ლიტერატურა:

https://dnevnik-znaniy.ru/obshestvo/politicheskaya-kultura.htmlhttps://docs.yandex.ru/docs/ru/Novaya.doc&tex
https://deepcloud.ru/articles/chto-takoe-krizis-kultury
https://vuzlit.com/554644/
http://sistemnyiy-krizis-kulturyi-struktura-i-soderzhanie-problemyi-2/
https://krizis-kulturi.html
https://13_136637_krizis-kulturi.html
https:///kult/krizis-kultury-i-ego-osobennosti/29533.220471.s1.html
https://osobennosti_sovremennoy_politicheskoy_kultury

https://politologiya/politicheskaya_kultura_vlast_sovremennom_mire
https://bigenc.ru/world_history/text/2121009
https://lektsii.org/9-76735.html
https://enciklopedicheskii-slovar-politologicheski-terminov-2013.html
https://platona.net/knigi/filosofii/slovari_ehnciklopedii/kemerov_v_e_sovremennyj_filosofskij_slovar

Asakaviĉiété Vaida. Crisis as a Decline in Human Existential Creativity. International Journal of Philosophy of Culture and Axiology 15(1)/2018: 65-83. Pdf.

Большой Урал – XXI век. Материалы XIII Уральских социологических чтений. Ч. 1. Екатеринбург, 2001. 237 с.

Бочкарёв, В.П. Культурология: учебный комплекс для заочников / В.П. Бочкарёв. - 2-е изд. испр. и доп. / СибГАУ – Красноярск, 2011. - 410 с. pdf.

2006.01.012. Крузе Ф. Почему потерпела неудачу чоциология культуры Альфреда Вебера? Kruse V. Warum scheiterte Alfred Webers Kultursoziologie? Ein Interpretationsversuch// Soziologie, Politik und Kultur: Von Alfred Weber zur Frankfurter Schule / Hrsg. von Demm E. – Frankfurt a. M.,2003, pdf.

Белл Даниел. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. - М.: Academia – 1999.pdf.

Вестник Пермского Университета. Философия. Психология. Социология. Выпуск 2 (10), 2012, pdf.

Власть и политика / М. Вебер ; [пер. с нем. Б. М. Скуратова, А. Ф. Филиппова; вступ. ст. А. Ф. Филиппова; комм. Т. А. Дмитриева, А. Ф. Филиппова]. _ М. : РИПОЛ классик, 2018. 432 с.pdf.

Donskis, Leonidas. Moderniosios kultūros filosofijos metmenys/An Outline of the Modern Philosophy of Culture/- Vilnius: Mokslo ir enciklopedijų l-kla, 1993 -165 p./Vilnius: Versus aureus. 2009. pdf.

Иконникова С.Н. История Культурологии, 2018/ http://library.lgaki.info:404/2017/20 pdf.

Inglehart Ronald F. Cultural Evolution/How People's Motivations are Changing and How this is Changing the World. Cambridge University Press/New York and Cambridge. 2018./Инглхарт Рональд. Культурная Эволюция. Как изменить человеческие мотивации и как это меняет мир. Мысль.М. 2023.:- 346 с. – ISBN 5-244-01232-3.

Иноземцев В.Л. Новая постиндустриальная волна на Западе.Антология. М.:Academia, 2000. -631 с. – ISBN 5-87444-067-4. pdf.

Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура. - М.: ГУ ВЩЭ. – 2004.pdf.

Культурология. XX век. Энциклопедия. Т.1, 2. - СПб.: Университетская книга; 000 "Алетейя", 1998.pdf.

Культурология. Под ред. Г.В.Драча. - Ростов-на-Дону, 2000.pdf.

Культурология. История мировой культуры. Маркова А.Н. - М., 2003.pdf.

Левада Ю. От мнений к пониманию.-М:МШПИ. - 2000.pdf.

Межуев В.М. Культура как проблема философии // Культура, человек и картина мира. М., 1987.pdf.

Новая постиндустриальная волна на Западе. М.: Academia. – 1999.pdf.
Политологический энциклопедический словарь / Составитель В.П. Горбатенко Под ред. Ю.С. Шемшученка, В.Д. Бабкина, В.П. Горбатенка. -- 2-е изд., Доп. и перераб. -- М.: Генезис, 2004. -- 736 с./ https://enciklopedicheskii-slovar-politologicheski-terminov-2013.html
Сидоров Е.Ю. Культура мира и культура России // Полис,1998. №5.pdf.
Сноу Ч.П. Две культуры. М.: Прогресс, 1973. 146 с. pdf.
Современный философский словарь/ Под общим ред. д. ф. н. профессор В.Е. Кемерова.Лондон, Франкфурт-на-Майне, Париж, Люксембург, Москва, Минск: «ПАНПРИНТ», 1998. — 1064 стр. (2-е издание, исправленное и дополненное). ISBN: 3-932173-35-X.pdf. https://platona.net/knigi/filosofii/slovari_ehnciklopedii/kemerov_v_e_sovremennyj_filosofskij_slovar
Социальная Антропология, Л. Э. Панкратова/Монография.© ФГАОУ ВО «Российский Гос. профессионально-педагогический университет»,ISBN 978-5-8050-0606-8.2016. pdf.
Тоффлер Э. Третья волна. - М.: АСТ. – 1999.pdf.
Учение Альфреда Вебера об историческом процессе/К.В. Прозументик. 2012/Вестник Пермского Университета. 2012. Социология. Выпуск 2(10); с.47-52. pdf./https://docs.yandex.ru/docs/view/pdf.
Уэбстер Ф. Теории информационного общества. М.: Аспект Пресс, 2004. pdf. 400 с. — ISBN 5-7567-0342-X.
Фомин Ю.А. Человечество в XXI веке.- М:Синтег.-2001.pdf.
Швейцер А. Культура и этика. - М: Прогресс. – 1973.pdf.
Шпенглер О. Человек и техника // Культурология. XX век: Антология. -- М., 1995.pdf.
Шпенглер О. Закат Европы/ The Decline of the West/Москва: Мысль.1993. pdf
Ясперс К. Смысл и назначение истории.- М: Политиздат.- 1991.pdf.